

აგრარული უნივერსიტეტი აცხადებს ვაკანსიას თავისუფალი მეცნიერებების პროგრამის ფარგლებში უმცროსი კოორდინატორის პოზიციაზე:

ძირითადი სამუშაო მოთხოვნები

- უმაღლესი განათლება;
- ინგლისური ენის ცოდნა;
- კომპიუტერული უნარ-ჩვევები;
- თავისუფალი მეცნიერებების პროგრამის ფარგლებში ყოველდღიურ საქმიანობაში პროგრამის ხელმძღვანელის და კოორდინატორის ასისტირება;
- პროგრამის განვითარებასა და მართვის პროცესში მონაწილეობა შესაბამისი სკოლის/პროგრამის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობის საფუძველზე;
- სასწავლო პროცესების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესის მართვაში აქტიური ჩართულობა დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და შესაბამის სამსახურთან ერთად;
- პროფესორების, ლექტორების, მკვლევარების საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა;
- თავისუფალი მეცნიერებების სკოლის თეატრალური რეპეტიციებისა და კინო-ფოტო გადაღებების, გამოფენებისა და აკადემიური კონფერენცია/პრეზენტაციების ორგანიზაციული და ტექნიკური საკითხების კოორდინირება;
- სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან აქტიური ურთიერთობა;
- აკადემიური პროცესების ორგანიზებაში ჩართულობა;
- მონაცემთა ბაზების მართვა და ორგანიზება.

პროფესიული თვისებები:

- მართვის და ორგანიზების უნარი;
- კომუნიკაბელური;
- სწრაფად ათვისების უნარი;
- სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი;
- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
- დროის ეფექტურად განაწილების და გუნდური მუშაობის უნარი;
- კრიტიკული ანალიზის უნარი;
- დამოუკიდებლად მუშაობის უნარი.

საჭირო დოკუმენტაცია: CV და სამოტივაციო წერილი

კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად: პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება CV-ის მიხედვით, მეორე ეტაპზე ჩატარდება ტესტირება ინგლისურსა და ზოგად უნარებში, მესამე ეტაპზე - გასაუბრება. (დაკავშირება მოხდება მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებთან)

ანაზღაურება განისაზღვრება ინდივიდუალური მოლაპარაკების საფუძველზე.

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2020 წლის 30 აგვისტო, საბუთების მიღება წარმოებს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

გთხოვთ, წერილის სათაურში მიუთითოთ პოზიციის დასახელება „უმცროსი კოორდინატორი“. წინააღმდეგ შემთხვევაში კანდიდატურა არ განიხილება.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ელფოსტა: vacancy@agruni.edu.ge

ვებგვერდი: www.agruni.edu.ge